

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
მეორე კოლეგიის

განმწესრიგებელი სხდომის

განჩინება №2/8/1455
2024 წლის 27 დეკემბერი
ქ. ბათუმი

კოლეგიის შემადგენლობა:

მანანა კობახიძე – სხდომის თავმჯდომარე;

ირინე იმერლიშვილი – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;

თეიმურაზ ტულუში – წევრი.

სხდომის მდივანი: მარიამ ბარამიძე.

საქმის დასახელება: გოგი გვიდიანი, ბადრი გვიდიანი, ბიძინა გვიდიანი და ჯამლათ გვიდიანი
საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან, მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან, 31-ე მუხლის პირველ და მე-9 პუნქტებთან და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით;

ბ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის სიტყვების „გარდა ამ კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით ... გათვალისწინებული შემთხვევებისა“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან, 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან და 34-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით; გ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის (2021 წლის 26 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან და 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილენი: მოსარჩელე მხარის წარმომადგენელი – ჯამლათ გვიდიანი; მოპასუხე მხარის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები – ნინო შარმანაშვილი, რუსუდან მუმლაური და ხატია პაპიძე.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 21 ოქტომბერს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1455) მომართეს გოგი გვიდიანმა, ბადრი გვიდიანმა, ბიძინა გვიდიანმა და ჯამლათ გვიდიანმა. №1455 კონსტიტუციური სარჩელი, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას გადმოეცა 2019 წლის 22 ოქტომბერს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენით, გაიმართა 2020 წლის 23 ივნისს.

2. №1455 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით, შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ



ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე, ხოლო 426-ე მუხლი ადგენს გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადას. კერძოდ, ხსენებული მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამგვარი განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, გარდა ამ კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ გამოირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ხოლო მე-19 მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულია საკუთრების უფლება. საქართველო კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს სასამართლოსადმი მიმართვისა და საქმის სამართლიანი და დროული განხილვის კონსტიტუციურ გარანტიას. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად კი, „არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“. თავის მხრივ, საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები. ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება.

5. №1455 კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, სადავოდ გამხდარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველით, გადაწყვეტილება ბათილად იცნობა და საქმე განახლდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ფაქტობრივი გარემოებები არსებითად შეცვლილია, აღარ არსებობს სამართალწარმოების პირვანდელი მხარე, საქმის მასალები, მტკიცებულებები განადგურებულია ხანდაზმულობის გამო ან/და თავდაპირველი მესაკუთრის მიერ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შემენილი ქონება განკარგულია, ხოლო ახლანდელი მესაკუთრე წარმოადგენს კეთილსინდისიერ შემძენს ან მემკვიდრეს.

6. მოსარჩელე მხარის განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს უფლება, მათ შორის, მოიცავს პროცესის ეფექტურობას, მის გონივრულ ვადაში დასრულებას, მხარეთა და მესამე პირების უფლებას, საქმე განხილულ იქნეს ობიექტურად, შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპების დაცვით. სადავო ნორმით დადგენილი წესრიგის პირობებში, ხანგრძლივი დროის გასვლისა და საქმეში მონაწილე თავდაპირველი მხარეების შეცვლის შემდგომ დავის განახლებისას, პირებს ერთმევათ შესაძლებლობა, მეორე მხარესთან თანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ, ვინაიდან ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ფლობდნენ სათანადო ინფორმაციას ან შეძლონ შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება. ამასთან, მოსარჩელების მითითებით, სადავო ნორმა არაპროპორციულად ზღუდავს იმ პირთა უფლებებს, რომლებმაც საკუთრება მოიპოვეს მემკვიდრეობით ან კეთილსინდისიერად და, რომელთაც კანონიერი ნდობა გააჩნდათ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ჩანაწერის მიმართ.

7. მოსარჩელე მხარე განმარტავს, რომ სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, მესამე პირების მოწვევის საკითხის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გადახედვა მესაკუთრეებს აკისრებს გაუმართლებელ ტვირთს. იმავდროულად, მოსარჩელე მხარე აუცილებლად მიიჩნევს, იმ დაინტერესებულ პირთა გამიჯვნას, რომლებიც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, ერთი მხრივ, სავალდებულოდ უნდა იყვნენ მოწვეული საქმის განხილვისას, ხოლო, მეორე მხრივ, რომელთა პროცესში ჩართვაც სასამართლოს უფლებამოსილებაა.

8. ამდენად, მოსარჩელე მხარის პოზიციით, სადავო ნორმით დადგენილი წესრიგით საქმის განახლება არღვევს პიროვნების თავისუფალი განვითარების, სამართლიანი სასამართლოსა და საკუთრების უფლებებს.

9. №1455 კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, პრაქტიკაში საერთო სასამართლოები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტს იყენებენ, მათ შორის, იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებით, რომლებიც წარმოშობილი და დასრულებულია თავად სადავო ნორმის მიღებამდე პერიოდში, რაც საფრთხეს უქმნის სამართლებრივ



სტაბილურობას, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს და იწვევს კონსტიტუციით დაცული ცალკეული უფლებების შელახვას. შესაბამისად, მოსარჩელე მხარის მითითებით, სადავო ნორმის კანონის მიღებამდე წარმოშობილ, დასრულებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე გავრცელებით, ირღვევა კონსტიტუციით დაცული უკუმაღლის აკრძალვის პრინციპი.

10. მოსარჩელე მხარე ასევე მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის სადავოდ გამხდარი სიტყვები არაკონსტიტუციურად ზღუდავს სამართლიანი სასამართლოსა და საკუთრების უფლებებს, რამდენადაც, სადავო ნორმა გამორიცხავს, სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, საქმის წარმოების განახლების მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადის გავრცელებას. თავის მხრივ, ამგვარი ვადების არარსებობა და საკუთრების უფლების მუდმივად სადავოდ ქცევის შესაძლებლობა საფუძველს აცლის კერძო საკუთრების ინსტიტუტს, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, სასამართლოს სანდოობასა და სასამართლო გადაწყვეტილების შეუქცევადობას. ამასთან, მოსარჩელე მხარის მითითებით, სადავო ნორმა ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებულ პრინციპს, რომლის თანახმადაც, ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება.

11. კონსტიტუციური სარჩელით, მოსარჩელები სადავოდ ხდიან, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობას. მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, რომ ხსენებული ნორმის საფუძველზე, შესაძლებელია, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაუქმდეს სრულად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არის დადგენილი მისი სრულად გაუქმების საჭიროება ან ასეთი საჭიროება საერთოდ არ არსებობს. ამასთან, სადავო ნორმით, გადაწყვეტილება სრულად უქმდება მაშინაც კი, თუ, ხელახალი განხილვის შემდეგ, შეიძლება არც კი შეიცვალოს გაუქმებული გადაწყვეტილების შინაარსი. ამდენად, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ აღნიშნული სადავო ნორმით ასევე ირღვევა საკუთრებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებები.

12. 2024 წლის 17 ნოემბერს მოსარჩელე მხარემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა გოგი გვიდიანის, ბიძინა გვიდიანისა და ჯამლათ გვიდიანის სასარჩელო მოთხოვნის შემცირება იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.

13. მოპასუხე მხარის, საქართველოს პარლამენტის განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილება დავის საგნის ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა ეხებოდეს პირად, ქონებრივ, საოჯახო და არა უშუალოდ საკუთრების უფლებას. თავისთავად, ის გარემოება, რომ გადაწყვეტილების საგანი შესაძლოა ასევე იყოს საკუთრება, არ ნიშნავს, რომ სადავო ნორმა ზღუდავს აღნიშნულ უფლებას. მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია სათანადო არგუმენტაცია, რომელიც წარმოაჩენდა შინაარსობრივ მიმართებას სადავოდ გამხდარ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტსა და კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების უფლებას შორის. გარდა ამისა, მოპასუხე მიუთითებს, რომ სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართებით, არაკონსტიტუციურად ცნობის ნაწილში, სასარჩელო მოთხოვნა უკავშირდება ქონებასთან დაკავშირებულ - საკუთრებისა და მემკვიდრეობის საკითხებს. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია არ მიემართება საკუთრების/მემკვიდრეობის უფლების ისეთ უფლებებზე კომპონენტს, რომელიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით.

14. მოპასუხე მხარის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლი განსაზღვრავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველს და არა ნორმის დროში მოქმედების საკითხს. მოპასუხე ასევე მიიჩნევს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით, მოსარჩელე მხარის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემა უკავშირდება, დროში შეუზღუდავად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესაძლებლობას, ხოლო სადავო ნორმა არ აწესრიგებს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე პირის განცხადების შეტანის ვადებს.

15. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის სადავოდ გამხდარი სიტყვების კონსტიტუციურობის საკითხზე, მოპასუხე მხარე განმარტავს, რომ საკითხი უკვე გადაწყვეტილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო



სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ხანდაზმულობის ვადა და, შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე სასამართლომ აღარ უნდა იმსჯელოს ხელმეორედ.

16. მოპასუხე მხარის პოზიციით, ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი მიემართება სრულ გადაწყვეტილებას, რადგან ის ცვლის არა მტკიცების საგანს ან მტკიცებულებებს, არამედ გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპს, პროცესსა და შედეგს. ამდენად, ბათილობის საფუძვლის არსებობა, რაც გადაწყვეტილებას აქცევს ხარვეზიანად, თავისთავად, მნიშვნელობას უკარგავს თავად მოთხოვნის არსს. შესაბამისად, მოპასუხე მხარე განმარტავს, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოებისგან განსხვავებით, რომელიც შესაძლოა, გადაწყვეტილების მხოლოდ ერთ ნაწილზე ახდენდეს გავლენას და, შედეგად, მტკიცების საგანს ნაწილობრივ ან სრულად ცვლიდეს, ბათილად ცნობის საფუძველი გავლენას ახდენს სრულ გადაწყვეტილებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე მიიჩნევს, რომ არ არსებობს მიმართება სადავოდ გამხდარ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილსა და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტს შორის. დამატებით, სადავო ნორმის საკუთრების ძირითად უფლებასთან მიმართების საკითხთან დაკავშირებით, მოპასუხემ აღნიშნა, რომ სადავო ნორმა ემსახურება სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ერთ-ერთი უფლებრივი კომპონენტის პროცედურულ მოწესრიგებას და მის საფუძველზე არ ხდება თავად საკუთრების უფლების შეზღუდვა, მისი შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრა. შესაბამისად, სადავო ნორმას ასევე არ გააჩნია შინაარსობრივი მიმართება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან.

17. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ არ არსებობს შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმებსა და მოსარჩელე მხარის მიერ იდენტიფიცირებულ საქართველოს კონსტიტუციის დებულებებს შორის, რის გამოც, №1455 კონსტიტუციური სარჩელი დაუსაბუთებელია და არსებობს მისი არსებითად განსახილველად არმიღების საფუძველები.

II. სამოტივაციო ნაწილი

1. სადავო ნორმაში განხორციელებული ცვლილება

1. მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდის, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის (2021 წლის 26 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან და 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, რომ ხსენებული ნორმის საფუძველზე, შესაძლებელია, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაუქმდეს სრულად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არის დადგენილი მისი სრულად გაუქმების საჭიროება ან ასეთი საჭიროება საერთოდ არ არსებობს. ამასთან, სადავო ნორმით, გადაწყვეტილება სრულად უქმდება მაშინაც კი, თუ ხელახალი განხილვის შემდეგ, შეიძლება, არც კი შეიცვალოს გაუქმებული გადაწყვეტილების შინაარსი.

2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს 2021 წლის 22 ივლისის №805-Vრს-Xმპ კანონით, ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, ხოლო ეს ცვლილება ამოქმედდა 2021 წლის 26 ივლისს. საკანონმდებლო ცვლილებამდე არსებული რედაქციით, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების საფუძვლიანობისას, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო აუქმებდა განჩინებით, რომელიც საჩივრდებოდა კერძო საჩივრით. განხორციელებული ცვლილების შედეგად, ზემოაღნიშნული წესიდან დადგინდა გამონაკლისი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველთან მიმართებით, რაც გულისხმობს იმას, რომ ხსენებულ შემთხვევაში, განცხადების საფუძვლიანობისას, აღარ გამოიყენება გასაჩივრებული გადაწყვეტილების განჩინებით გაუქმების ზემოაღნიშნული წესი. კერძოდ, ამ კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქმის წარმოების განახლებისას, სასამართლო, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას განჩინებით სრულად ან ნაწილობრივ გააუქმებს ან ამ კოდექსის 431-ე მუხლით დადგენილი წესით, საქმის განხილვის დასრულებამდე ძალაში დატოვებს. მაშასადამე, ნათელია, რომ სადავო ნორმაში განხორციელებული ცვლილება შეეხო მარტოოდენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის



პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს. სადავო ნორმით განსაზღვრული უფლებამშემზღუდველი წესი კვლავ ანალოგიური ფორმით მოქმედებს მოსარჩელე მხარესთან მიმართებით, რომლისთვისაც პრობლემურია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების წესი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველის არსებობისას.

3. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელ კანონმდებლობაში არ არსებობს დებულება, რომელიც გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობას, გააგრძელოს სამართალწარმოება და იმსჯელოს ცვლილებების შემდგომ ჩამოყალიბებულ ნორმაზე, თუკი სახეზეა ძალადაკარგული სადავო ნორმის არსებითად მსგავსი შინაარსის მქონე მოქმედი ნორმა, ხოლო გასაჩივრებული მოწესრიგება მოქმედებს იმავე ნორმატიული შინაარსით, რა შინაარსითაც მოსარჩელე სადავოდ ხდიდა მის კონსტიტუციურობას. ამასთანავე, გასაჩივრებულ დებულებაში განხორციელებული არაარსებითი ცვლილების შემთხვევაში, სადავო ნორმის მოქმედი რედაქციის კონსტიტუციურობის შეფასება მიზნად ისახავს უფლების დაცვის ეფექტიანობის უზრუნველყოფასა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესის ხელოვნური გაჭიანურების პრევენციას.

4. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება, მათ შორის, მოიცავს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მომართვისა და უფლების ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობას (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 21 მარტის №1/1/1312 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამ კონტექსტში საკონსტიტუციო სასამართლოში უფლების დაცვა ეფექტიანად შეიძლება მივიჩნიოთ, თუკი იგი პასუხობს სამართლიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს, იძლევა უფლების დაცვის, მისი დარღვევის პრევენციისა და დარღვეული უფლების აღდგენის რეალურ და არა ილუზორულ შესაძლებლობას (იხ. *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამდენად, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ფარგლებში დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, იდავოს ყველა იმ აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ზღუდავს ან განჭვრეტად მომავალში შეზღუდავს მის ძირითად უფლებებს, ხოლო საქართველოს კონსტიტუცია, დამატებით, განსაზღვრავს, რომ აღნიშნული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვაზე/შესაძლო შეზღუდვაზე სასამართლოსადმი მიმართვა უნდა იყოს უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალება.

5. უფლების დაცვის ეფექტიანობა კი, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ, როდესაც განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, სადავო ნორმას ემატება ახალი განსაზღვრება/მოცემულობა, თუმცა, იგი შინაარსობრივად არ ცვლის მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარ შინაარსს, საკონსტიტუციო სასამართლო აგრძელებს საქმის განხილვას და აფასებს მოქმედი ნორმის კონსტიტუციურობას (იხ., მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის №1/5/1355,1389 გადაწყვეტილება საქმეზე „სამსონ თამარიანი, მალხაზ მაჩალიკაშვილი და მერაბ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9-12; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 სექტემბრის №1/7/1437 გადაწყვეტილება საქმეზე „მპს ეპიცენტრი“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტამდე, სადავო ნორმის/ნორმების გაუქმება *a priori* არ იწვევს სამართალწარმოების შეწყვეტას, თუ მოსარჩელე მხარე აფიქსირებს უწყვეტ ინტერესს საქმის წარმოების გაგრძელებასთან დაკავშირებით და ითხოვს ძალადაკარგული სადავო ნორმის/ნორმების იდენტიური/არსებითად მსგავსი შინაარსის მქონე მოქმედი ნორმის/ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 8 ივლისის №3/6/1547 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ვახტანგი მიმინოშვილი, ინვერი ჩოკორაია და ჯემალი მარკოზია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-10).

7. თავის მხრივ, განსახილველ შემთხვევაში, სადავო ნორმის ანალიზით დგინდება, რომ მასში განხორციელებულმა ცვლილებამ განსხვავებული განსაზღვრებები/მოცემულობები გააჩინა სადავო მოწესრიგებაში, თუმცა მოსარჩელე მხარის მიერ იდენტიფიცირებულ საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემა არ შეცვლილა. ამავდროულად, იმდენად, რამდენადაც მოსარჩელე მხარის მიერ პრობლემურად მიჩნეულ საკითხთან მიმართებით კანონმდებლობაში ცვლილებები არ



განხორციელებულა/მოწესრიგება არ შეცვლილა, აზრს მოკლებულია, მასთან სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების თაობაზე მიმართვის საჭიროებაც. ამ თვალსაზრისით, არ იკვეთება რაიმე გარემოება, რომელიც წარმოაჩენდა, რომ მოსარჩელებმა დაკარგეს ინტერესი საქმის წარმოების გაგრძელებასთან მიმართებით. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, სამართალწარმოება უნდა გაგრძელდეს მოქმედი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასების გზით.

8. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, სადავო საკითხის გადაწყვეტისას, შეაფასებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოქმედი რედაქციის არსებითად განსახილველად მიღების საკითხს.

2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან და 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით

9. მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან და 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

10. ხაზგასასმელია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია კონკრეტული სამართლებრივი წესრიგი, თუ როგორ განიხილება განცხადება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ, რა წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი და რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება ამ განცხადების საფუძვლიანად მიჩნევას. დასახელებული კოდექსის 427-ე მუხლი ჩამოთვლის იმ წინაპირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ამოწმებს, დასაშვებია თუ არა წარდგენილი განცხადება, მათ შორის, აკმაყოფილებს თუ არა 427-ე მუხლში ჩამოთვლილ წინაპირობებს (მითითებულია თუ არა საფუძვლები, რომლის გამოც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ან საქმის განახლება, დაცულია თუ არა ვადა და სხვა). ხოლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ გაირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება საფუძვლიანია (გარდა ამ კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს განჩინებით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 431-ე მუხლის თანახმად, საქმე, რომელზედაც ეს გადაწყვეტილება იყო გამოტანილი, თავიდან განიხილება საქმის განხილვისთვის ამ კოდექსით დადგენილი წესით. ამდენად, წარდგენილი განცხადების საფუძვლიანად მიჩნევა იწვევს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას და სამართალწარმოების ხელახალ დაწყებას.

11. მაშასადამე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილი წარმოადგენს საპროცესო სამართლებრივი წესრიგის ნაწილს, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვის ნორმატიული ჩარჩო. კერძოდ, ხსენებული წესრიგის ფარგლებში, სადავო ნორმა მიმართულია საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების საფუძვლიანობის სამართლებრივი შედეგის განსაზღვრისკენ. თავის მხრივ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ „სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის უშუალო შედეგი შეიძლება იყოს საკუთრების, თავისუფლების, თანასწორობის და ნებისმიერი სხვა უფლების დარღვევა. მაგრამ ეს თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების ცალკეული უფლებრივი კომპონენტების მარეგლამენტირებელი ნორმები, კონსტიტუციურობის თვალსაზრისით, იმავდროულად, შეფასებადია ყველა იმ უფლებასთან, რომელთა დასაცავადაც პირი სასამართლოსადმი მიმართვის საჭიროების წინაშე დგება“ (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 23 აგვისტოს №2/6/765 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მოწინიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის №3/2/531 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს



პრაქტიკის შესაბამისად, სასამართლოს მეშვეობით საკუთრების დაცვის პროცესულურ ასპექტებს აწესრიგებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი. შესაბამისად, სადავო რეგულირებას საკუთრების უფლებასთან მიმართება ექნება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი განსაზღვრავს საკუთრების მატერიალური უფლების ფარგლებს, ხოლო სასამართლოს მეშვეობით საკუთრების უფლების დაცვის პროცედურა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მოწესრიგების სფეროს წარმოადგენს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის №2/14/879 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

12. თავის მხრივ, როგორც აღინიშნა, სადავო ნორმა განსაზღვრავს, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების საფუძვლიანობის სამართლებრივ შედეგს და წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესო წესრიგის ნაწილს. შესაბამისად, მისი კონსტიტუციურობის საკითხი წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან, სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით შესაფასებელ საკითხს და არა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან, საკუთრების უფლებასთან მიმართებით შესაფასებელ მოცემულობას. ამდენად, სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნობის მტკიცების ნაწილში, მოსარჩელე მხარის მოთხოვნა დაუსაბუთებელია.

13. რაც შეეხება სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან არაკონსტიტუციურად ცნობას, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობაზე იმსჯელა 2018 წლის 7 დეკემბრის №2/8/765 გადაწყვეტილებაში (საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მოწენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) და იგი არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით. განსახილველი საქმის ფარგლებში, მოსარჩელე მხარე არ აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო ნორმას გააჩნია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2018 წლის 7 დეკემბრის №2/8/765 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსი. მიუხედავად ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით გამოიკვლიოს, ხომ არ არსებობს სადავო ნორმის განმწესრიგებელ სხდომაზე ძალადაკარგულად გამოცხადების „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები (იხ., მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 ოქტომბრის №3/2/1647 განჩინება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისათვის“, ნინო თოდრია, მართა ქარდავა, ნინო ორდენიძე და სხვები (სულ 12 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

14. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის თანახმად, „თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად, ... მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.

15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პროცესის ეკონომიურობის პრინციპის დაცვას, კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც გასაჩივრებული საკითხი მატერიალური თვალსაზრისით სასამართლოს უკვე გადაწყვეტილი აქვს, საკონსტიტუციო სასამართლოს არ უწევს ნორმის კონსტიტუციურობაზე საქმის არსებითი განხილვის ფორმატში განმეორებით მსჯელობა. მეორე მხრივ, ხსენებული ნორმა წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი გადაწყვეტილების შესრულების ზედამხედველობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციის ეფექტურ მექანიზმს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/2/563 განჩინება საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8). ამგვარად, დასახელებული ნორმა უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვან მექანიზმად საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, ამ უკანასკნელის მხრიდან, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების, ადამიანის უფლებათა დაცვისა



და ამ უფლებათა დარღვევის პრევენციისთვის.

16. სადავო ნორმის არსებითად განსახილველად მიღების გარეშე ძალადაკარგულად ცნობისათვის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის მიხედვით, აუცილებელია, სახეზე იყოს ორი წინაპირობა: (ა) სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად და (ბ) არ არსებობს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21¹ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

17. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტში არსებული ტერმინი „იმავე შინაარსის ნორმა“ არ გულისხმობს, სიტყვასიტყვით იმავე ფორმულირების შემცველი წესის მიღებას/არსებობას. „ნორმის მხოლოდ ტექსტუალური, რედაქციული ან სხვა ფორმალური განსხვავება ვერ ჩაითვლება არსებით განმასხვავებელ ფაქტორად. სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასებს, არის თუ არა სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსის, სადავო ნორმის მიზანმიმართულების, მასში გამოხატული კანონმდებლის ნებისა და სამართლებრივი საშუალებების გათვალისწინებით. შინაარსობრივ მსგავსებასთან გვექნება საქმე არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ნორმა სიტყვასიტყვით იმეორებს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს, არამედ მაშინაც, როდესაც სადავო ნორმაში მოცემული წესი არსებითად მსგავსი სამართლებრივი შედეგის მომტანია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/2/563 განჩინება საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10).

18. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, არის თუ არა სადავო ნორმა არსებითად იმავე შინაარსის, რაც უკვე იქნა არაკონსტიტუციურად ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/8/765 გადაწყვეტილებით. სადავო ნორმის დამძლევი ნორმად მიჩნევისა და მისი არსებითი განხილვის გარეშე არაკონსტიტუციურად ცნობისათვის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად არსებობს ნორმათა შორის არსებითი შინაარსობრივი მსგავსება. კერძოდ, რამდენად იწვევს სადავო ნორმა, სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსად, იმავე კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას. ასევე, ხდება თუ არა უფლების შეზღუდვა მსგავსი სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით და იწვევს თუ არა იდენტურ სამართლებრივ შედეგებს (იხ., *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/855 განჩინება საქმეზე „ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს, სასჯელის სახით, თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისთვის შეძენისა და შენახვის გამო“, II-5; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/2/563 განჩინება საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12). ამასთან, მნიშვნელოვანია გამოირკვეს, რამდენად არსებობს სხვა ფაქტობრივი ან სამართლებრივი გარემოებები, რომლებიც სადავო ნორმის არსებითი განხილვის ფორმატში შეფასების საჭიროებას წარმოშობს.

19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 7 დეკემბრის №2/8/765 გადაწყვეტილებით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით, არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით, გაუქმების შესაძლებლობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი სადავოდ გამხდარი მოწესრიგების პირობებში, საქმის წარმოების განახლების მოთხოვნის საფუძველიანობის გამორკვევის შემთხვევაში, სასამართლო, თავისი განჩინებით, აუქმებდა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, რაც ექვემდებარებოდა კერძო საჩივრით გასაჩივრებას.

20. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლები ადგენს



კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების სხვადასხვა საფუძველებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 7 დეკემბრის №2/8/765 გადაწყვეტილების ფარგლებში შეაფასა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, სადავო ნორმით დადგენილი წესით, გაუქმების კონსტიტუციურობა იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი - შემთხვევა, როდესაც „მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას“.

21. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის შედეგად დაადგინა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ამავე კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველის გამოყენებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება უქმდებოდა, თუ დადგინდებოდა, რომ მტკიცებულებების დროულად წარმოდგენის შემთხვევაში, მხარისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოების/მტკიცებულების საფუძველზე მხარისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა *per se* არ გულისხმობდა, რომ საქმეზე მიღებული იქნებოდა არსებულის საპირისპირო გადაწყვეტილება. ამის მიუხედავად, არსებული საკანონმდებლო რეგულირებიდან გამომდინარე, მოსამართლეს უწევდა საქმის განხილვის განახლებამდე სრულად გაეუქმებინა არსებული გადაწყვეტილება ისე, რომ დადგენილი არ ჰქონდა მისი გაუქმების საჭიროება.

22. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების საკითხის მოწესრიგებისას, ერთმანეთს უპირისპირდება კერძო პირების კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სხვადასხვა ლეგიტიმური ინტერესი. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ კონსტიტუციური სარჩელის ავტორს და მის პოზიციაში მყოფ პირებს გააჩნიათ იმის მოლოდინი, რომ მათ სასარგებლოდ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება იქნება შეუქცევადად აღსრულებული და არ მოხდება მისი რაიმე ფორმით შეცვლა, თუმცა აღნიშნულ ინტერესს უპირისპირდება ასევე კერძო პირების სამართლიანი სასამართლოს უფლებით დაცული ლეგიტიმური მოლოდინი, რომ, თუკი არსებობს ახლად აღმოჩენილი გარემოებები და მტკიცებულებები, მოხდება საქმის წარმოების განახლება და მიღებული იქნება ახალი, სამართლიანი გადაწყვეტილება. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოცემულობებს წარმოადგენს, ერთი მხრივ, იმ განცხადების საფუძველიანობის შეფასება, რომლის მიხედვითაც მოითხოვება ახლად აღმოჩენილი მტკიცებულებების გამო საქმისწარმოების განახლება და, მეორე მხრივ, იმის განსაზღვრა, უნდა მოხდეს თუ არა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება. ის ფაქტი, რომ არსებობს საქმისწარმოების განახლების საფუძველი, არ მიუთითებს, რომ საქმისწარმოების განახლებამდე ავტომატურად უნდა მოხდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებაც. ამ მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა სტანდარტი, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება არ უნდა ხდებოდეს მხოლოდ საქმისწარმოების განახლების საფუძველის არსებობის ფაქტიდან გამომდინარე და დამოუკიდებლად უნდა ფასდებოდეს გადაწყვეტილების გაუქმების საკითხი. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლების საწინააღმდეგოდ მიიჩნია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება იმ შემთხვევაში, როდესაც არ მომხდარა მისი გაუქმების საჭიროების შეფასება (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/8/765 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მოწინიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-55, 56, 57).

23. ხაზგასასმელია, რომ №1455 კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში სადავოდ გამხდარი ნორმა უშვებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით, სრულად გაუქმების შესაძლებლობას, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. სხვაობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2018 წლის 7 დეკემბრის №2/8/765 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილ და №1455 კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარ ნორმებს შორის ვლინდება მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველში. კერძოდ, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შემთხვევაში, მოსარჩელისათვის პრობლემური იყო კანონიერ ძალაში შესული



სასამართლოს გადაწყვეტილების სადავო ნორმით დადგენილი წესით გაუქმება იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი – შემთხვევა, როდესაც „მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას“, ხოლო განსახილველ შემთხვევაში, სადავოა, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების სადავო ნორმით დადგენილი წესით გაუქმების კონსტიტუციურობა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე – იმ შემთხვევაში, როდესაც „პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე“.

24. მსგავსად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2018 წლის 7 დეკემბრის №2/8/765 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი რეგულირებისა, განსახილველ შემთხვევაშიც, სასამართლო აფასებს მხოლოდ საქმისწარმოების განახლების შესახებ შეტანილი განცხადების საფუძვლიანობას, ხოლო ამ განცხადების დაკმაყოფილებას შედეგად მოჰყვება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია, თუ როდის მიიჩნევა განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ საფუძვლიანად. კერძოდ, დასახელებული კოდექსის 427-ე მუხლი ჩამოთვლის იმ წინაპირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ზემოხსენებული განცხადება: მასში მითითებული უნდა იყოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება, ის საფუძვლები, რომლის გამოც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ან საქმის განახლება, მითითება განსჯადობის წესების დაცვისა და განცხადების შეტანის ვადის თაობაზე და სხვა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მოსამართლე ჩათვლის, რომ წარდგენილი განცხადება საფუძვლიანია, ანუ აკმაყოფილებს ზემოხსენებულ მოთხოვნებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს განჩინებით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 431-ე მუხლის თანახმად, საქმე, რომელზედაც ეს გადაწყვეტილება იყო გამოტანილი, თავიდან განიხილება საქმის განხილვისთვის ამ კოდექსით დადგენილი წესით. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს უკიდურეს შემთხვევაში, ანუ იმ პირობებში, როდესაც სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება საქმეზე სხვა გადაწყვეტილების მიღებას იწვევს. არსებული მოწესრიგების ფარგლებში კი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება უქმდება წინასწარ, შემდეგ ინიშნება საქმის ხელახალი განხილვა, რის შედეგადაც, შესაძლოა, საქმეზე იგივე გადაწყვეტილება იქნეს მიღებული. ამდენად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება უქმდება ისე, რომ მისი გაუქმების საჭიროება საბოლოოდ დადგენილი არ არის (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/2/1400 გადაწყვეტილება საქმეზე „ემზარ კვიციანი, ეთერ ჩხეტიანი-ანსიანი, მაია ანსიანი და იაგორ ანსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-81).

25. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2018 წლის 7 დეკემბრის №2/8/765 გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი იმ შემთხვევებში, როდესაც არ დგინდებოდა გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების შეცვლის აუცილებლობა. აღსანიშნავია, რომ იმ პირის საქმის განხილვაზე მოუწვევლობა, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, *a priori* არ მიუთითებს მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის აუცილებლობას/საჭიროებას, ხოლო მოსამართლე წარდგენილი განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების მიღმა, არ მსჯელობს რამდენად მიუთითებს განცხადებაში იდენტიფიცირებული გარემოებები გადაწყვეტილების გაუქმების აუცილებლობაზე. ამ პირობებში, შესაძლოა, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაუქმდეს და პროცესის განახლების შედეგად მიღებულ იქნეს იგივე გადაწყვეტილება, რაც ვერც მხარეთა უფლებების დაცვას შეუწყობს ხელს და ვერც საჯარო ინტერესების რეალიზებას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/2/1400 გადაწყვეტილება საქმეზე „ემზარ კვიციანი, ეთერ ჩხეტიანი-ანსიანი, მაია ანსიანი და იაგორ ანსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44).

26. მოსარჩელე მხარის მიერ სადავოდ გამხდარ საფუძველთან მიმართებით, არ არის ნათელი/განჭკრეტიადი, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული იმ პირის მოწვევის შემდეგ, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებსაც უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება. მაშასადამე, არ არის ცხადი, რომ პირის მონაწილეობა სასამართლო პროცესში, გამოიწვევდა არსებულისაგან განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს. საქართველოს საკონსტიტუციო



სასამართლოს მიერ 2018 წლის 7 დეკემბრის №2/8/765 გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს უკიდურეს შემთხვევაში - მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება საქმეზე სხვა გადაწყვეტილების მიღებას იწვევს. არსებული მოწესრიგების ფარგლებში კი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება უქმდება ისე, რომ მისი გაუქმების საჭიროება დადგენილი/შეფასებული არ არის.

27. ამ პირობებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ №1455 კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარი საფუძველი არ ქმნის ისეთ სხვაობას სადავო ნორმასა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2018 წლის 7 დეკემბრის №2/8/765 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმას შორის, რომ საჭირო იყოს სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება საქმის არსებითი განხილვის ფორმატში. შესაბამისად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ მუხლის მიზნებისთვის, სადავო აქტი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმას, რომელიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2018 წლის 7 დეკემბრის №2/8/765 გადაწყვეტილებით. ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის პლენუმზე გადაცემის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21¹ მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.

28. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის საფუძველზე, №1455 კონსტიტუციური სარჩელი სასარჩელო მოთხოვნის ზემოაღნიშნულ ნაწილში არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად და საქმის არსებითი განხილვის გარეშე, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით გაუქმების შესაძლებლობას.

3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის სადავო ნორმატიული შინაარსის ძალადაკარგულად ცნობის გადავადება

29. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის სადავო ნორმატიული შინაარსის საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებისთანავე, ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტის მიერ საკითხის მოწესრიგებამდე, შეუძლებელი გახდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე დადგენილია, რომ იმ პირის საქმის განხილვაზე მოუწვევლობისას, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობის არსებობა სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნას წარმოადგენს. თავის მხრივ, სადავო ნორმის დამძლევ ნორმად და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურად ცნობა განაპირობა კანონმდებლის მიერ დაპირისპირებულ ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დაუცველობამ, კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებამ იმ შემთხვევებში, როდესაც არ დგინდება, სასამართლოს მიერ შეფასებული არ არის, გადაწყვეტილების გაუქმების აუცილებლობა/საჭიროება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმის საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებისთანავე გაუქმებამ შესაძლოა, გამოიწვიოს იმ პირთა უფლების დარღვევა, რომელთაც გააჩნიათ საქმის წარმოების განახლების კონსტიტუციით დაცული ინტერესი.

30. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტს უნდა მიეცეს გონივრული ვადა სადავო საკითხის ახლებურად მოსაწესრიგებლად და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით ისეთი საპროცესო წესრიგის დასადგენად, რომელიც, ერთი მხრივ, გამორიცხავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას მისი გაუქმების საჭიროების



იდენტიფიცირების გარეშე, ხოლო, მეორე მხრივ, პირებს, კონსტიტუციით დაცული საფუძვლების არსებობისას, შესაძლებლობას მისცემს, მათი საქმის განხილვაზე მოწვევის არარსებობაზე მითითებით, მოითხოვონ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით გაუქმების შესაძლებლობას, ძალადაკარგულად უნდა იქნეს ცნობილი 2025 წლის პირველი ივნისიდან.

4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან, მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან, 31-ე მუხლის პირველ და მე-9 პუნქტებთან, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის სიტყვების „გარდა ამ კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით ... გათვალისწინებული შემთხვევებისა“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან, 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან და 34-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით

31. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად აუცილებელია, იგი აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება დასაბუთებული უნდა იყოს. ამავე კანონის 31¹ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით კი განისაზღვრება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის იმ მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულება, რომლებიც ადასტურებს სარჩელის საფუძვლიანობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ მასში მოცემული დასაბუთება შინაარსობრივად შეეხებოდეს სადავო ნორმას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის №2/3/412 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9). ამავდროულად, „კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისათვის აუცილებელია, მასში გამოკვეთილი იყოს აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებებს შორის, რომლებთან დაკავშირებითაც მოსარჩელე მოითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/469 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1). აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელი მიიჩნევა დაუსაბუთებლად და არ მიიღება არსებითად განსახილველად.

32. №1455 კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ არის გამხდარი, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის სიტყვების „გარდა ამ კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით ... გათვალისწინებული შემთხვევებისა“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან, 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან და 34-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით.

33. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლი ადგენს გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადას. კერძოდ, ხსენებული მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, გარდა ამ კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. შესაბამისად, აღნიშნული სადავო ნორმა, საქმის წარმოების განახლების ცალკეული საფუძვლების მიმართ, ადგენს პროცესუალურ წესრიგს განცხადების შეტანის ვადის განსაზღვრის გზით და კონკრეტული გამოწვევების რეგლამენტირებით განსაზღვრავს ცალკეული საფუძვლების, მისი მოწესრიგების მიღმა დატოვების ნორმატიულ



მოცემულობას. მოსარჩელებისათვის პრობლემურ საფუძველთან მიმართებით, გასაჩივრებული ნორმის მიზანი და ნორმატიული რესურსი ამოიწურება მხოლოდ იმ გარემოების დეკლარირებით, რომ საქმის წარმოების განახლების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ საფუძველთან მიმართებით არ გამოიყენება ნორმით დადგენილი განცხადების შეტანის ვადა.

34. თავის მხრივ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, ამა თუ იმ წესის სხვა სამართლებრივ ურთიერთობაზე გაუვრცელებლობა, თავისთავად, არ გულისხმობს უფლების შეზღუდვას. ასეთ შემთხვევებში, უფლების შეზღუდვას განაპირობებს მოსარჩელის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემის მარეგულირებელი წესი და არა სადავო ურთიერთობაზე მოსარჩელისათვის სასურველი წესის გაუვრცელებლობა (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-4; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის №3/4/768,769 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები: ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11-13). როგორც აღინიშნა, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე არაკონსტიტუციურად მიიჩნევს საქმის წარმოების განახლების ვადის არარსებობას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ საფუძველთან მიმართებით. შესაბამისად, მოსარჩელების პრობლემა გამომდინარეობს სწორედ აღნიშნული ნორმიდან, რომელიც კონკრეტული ვადის დაწესების გარეშე, შესაძლებელს ხდის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

35. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, №1455 კონსტიტუციური სარჩელი სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის სიტყვების „გარდა ამ კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით ... გათვალისწინებული შემთხვევებისა“ კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან, 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან და 34-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით, დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31¹ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

36. №1455 კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ არის გამხდარი, აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან, მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან, 31-ე მუხლის პირველ და მე-9 პუნქტებთან და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. მოსარჩელე მხარის პოზიციით, სადავოდ გამხდარი საპროცესო წესრიგის პირობებში არსებობს საკუთრების უფლების მუდმივად სადავოდ ქცევის შესაძლებლობა, რაც საფუძველს აცლის კერძო საკუთრების ინსტიტუტს, სამართლებრივ უსაფრთხოებასა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას.

37. საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ხოლო მე-19 მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულია საკუთრების უფლება. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს სასამართლოსადმი მიმართვისა და საქმის სამართლიანი და დროული განხილვის კონსტიტუციურ გარანტიას. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად კი, „არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“. თავის მხრივ, საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები.

38. მოსარჩელე მხარე სადავო ნორმასთან მიმართებით, არსებითად, აპელირებს ორ არგუმენტზე, კერძოდ, ერთი მხრივ, იგი სადავოდ მიიჩნევს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ნებისმიერ დროს გადასინჯვის შესაძლებლობას, მეორე მხრივ კი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის უკუძალით, მის



მიღებამდე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძვლად გამოყენების საკითხს.

39. აღსანიშნავია, რომ სადავო ნორმა აწესრიგებს, დაინტერესებული პირის განცხადებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის წინაპირობას. შესაბამისად, სადავო ნორმა ადგენს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესო წესრიგს. თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების უტყუარობის, აღსრულებისა და შეუქცევადობის პრეზუმფცია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების უმნიშვნელოვანესი უფლებრივი კომპონენტია. „სამართლიანი მართლმსაჯულება, სასამართლოსადმი სანდოობა, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შედეგების შეუქცევადობა სამართლებრივი უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს. სასამართლო ვალდებულია, სიცხადე შეიტანოს და განსაზღვრულობა შესძინოს დავას, გადაწყვეტილებით საბოლოოდ გააქარწყლოს ეჭვი. ამიტომ სასამართლო, როგორც კონფლიქტის მოგვარების ინსტიტუტი, უტყუარობისა და სანდოობის პრეზუმფციით სარგებლობს, სასამართლო პროცესზე განხილული საკითხი კი საბოლოოდ გადაწყვეტილად და დადგენილად ითვლება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25).

40. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ „სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის უშუალო შედეგი შეიძლება იყოს საკუთრების, თავისუფლების, თანასწორობის და ნებისმიერი სხვა უფლების დარღვევა. მაგრამ ეს, თავისთავად, არ ნიშნავს იმას, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების ცალკეული უფლებრივი კომპონენტების მარეგლამენტირებელი ნორმები, კონსტიტუციურობის თვალსაზრისით, იმავდროულად, შეფასებადია ყველა იმ უფლებასთან, რომელთა დასაცავადაც პირი სასამართლოსადმი მიმართვის საჭიროების წინაშე დგება“ (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 23 აგვისტოს №2/6/765 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მოწენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის №3/2/531 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5). იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს მეშვეობით საკუთრების დაცვის პროცესუალურ ასპექტებს აწესრიგებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

41. შესაბამისად, მოსარჩელებისათვის პრობლემური, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის, სამართლიანი სასამართლოს უფლების, მოწესრიგების სფეროს და არ აქვს მიმართება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების, საკუთრების უფლებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპების დამდგენ კონსტიტუციურ დებულებებთან.

42. მოსარჩელე მხარე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის შემოწმებას ასევე მოითხოვს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. როგორც აღინიშნა, მოსარჩელე მხარისათვის პრობლემურია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება, ამგვარი შესაძლებლობის ვადით შემოფარგვლის გარეშე.

43. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, პირის მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის დაუშვებლობის კონსტიტუციურობა, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, შეფასდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/2/1400 გადაწყვეტილებაში საქმეზე „ემზარ კვიციანი, ეთერ ჩხეტიანი-ანსიანი, მაია ანსიანი და იაგორ ანსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი



ადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ერთ-ერთ საფუძველს. კერძოდ, ხსენებული საფუძველის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, დაინტერესებული პირის განცხადებით, შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველის მსგავსად, მოცემულ შემთხვევაში, საკითხი შეეხება იმ პირის საქმის განხილვაზე მოუწვევლობას, რომლის ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება. დასახელებული უფლების მქონე სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელიც სასამართლო დავაში არ მონაწილეობდა, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებამ მხარედ აქცია, რადგან გადაწყვეტილება უშუალოდ შეეხო მის რეალურ, ფაქტობრივად არსებულ და კანონით დაცულ ინტერესს. ასეთ პირებს წარმოადგენენ პოტენციური მოსარჩელე, მოპასუხე ან დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირი. აღნიშნული დადასტურებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ხანგრძლივი პრაქტიკით (იხ., მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-687-687-2018; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 მაისის განჩინება საქმეზე №ას-409-409-2018; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1450-1370-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 22 დეკემბრის განჩინება №ას-1098-1034-2015). მაშასადამე, მხარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) საქმის განხილვაზე მოუწვევლობის საკითხთან მიმართებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2024 წლის 7 ივნისის №3/2/1400 გადაწყვეტილებაში განვითარებული სამართლებრივი შეფასება რელევანტურია განსახილველ შემთხვევაშიც.

44. 2024 წლის 7 ივნისის №3/2/1400 გადაწყვეტილებაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთისაგან გამიჯნა ორი შემთხვევა, კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ ტერმინი „მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე“, თავის თავში აერთიანებს მხარის მოუწვევლობის ორ შემთხვევას: 1) როდესაც მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე, თუმცა მან იცოდა მის წინააღმდეგ მიმდინარე საქმის წარმოების შესახებ და 2) პირისათვის ობიექტურად უცნობი იყო მის წინააღმდეგ სასამართლოში მიმდინარე დავის არსებობის ფაქტი. თავის მხრივ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაბათილებას იწვევდა ორივე ზემოთ ხსენებულ შემთხვევაში (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/2/1400 გადაწყვეტილება საქმეზე „ემზარ კვიციანი, ეთერ ჩხეტიანი-ანსიანი, მაია ანსიანი და იაგორ ანსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38).

45. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ფარგლებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ „როდესაც მხარეს ან მის კანონიერ წარმომადგენელს ობიექტურად არ ჰქონდათ ინფორმაცია საქმის წარმოების შესახებ, ავტომატურად ნიშნავს, რომ მას ერთმევა საკუთარი უფლებების, ინტერესების დაცვის ყოველგვარი შესაძლებლობა. იგი ვერ ახერხებს, სასამართლოს წარუდგინოს არგუმენტაცია, დაარწმუნოს საკუთარი პოზიციის მართებულობაში და, ერთი მხრივ, მოახდინოს პროცესუალური უფლებების რეალიზება, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების სწორად, სამართლიანად განხორციელებას. მხარისათვის ფუნდამენტური პროცესუალური უფლებების შეზღუდვა, საქმის განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობის მიუცემლობა, როგორც წესი, პროცესს უსამართლოდ აქცევს. ამასთანავე, მხარის ინფორმირების გარეშე მიღებული გადაწყვეტილებისათვის შეუქცევადი ხასიათის მინიჭება და საქმის წარმოების განახლების შესახებ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების გამორიცხვა (თუკი პირი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ გაიგებს ამის შესახებ), გამოიწვევს პირის ინტერესების/უფლებების ხანგრძლივად დარღვევას და მის იძულებას, დაემორჩილოს იმ სამართლებრივ შედეგებს, რომლის დადგომაზეც მას, სხდომაზე მოუწვევლობის გამო, არ გააჩნდა რაიმე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/2/1400 გადაწყვეტილება საქმეზე „ემზარ კვიციანი, ეთერ ჩხეტიანი-ანსიანი, მაია ანსიანი და იაგორ ანსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41).

46. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, მხარეთა შორის დავის გადაწყვეტისას მართლმსაჯულება ვერ ჩაითვლება აღსრულებულად, თუკი იგი არ აკმაყოფილებს სამართლიანობის მინიმალურ მოთხოვნებსაც კი. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, თუკი იმ პირს, რომლის უფლებებსა და ინტერესებსაც უშუალოდ ეხება გადაწყვეტილება, არ მიეცემა პროცესში მონაწილეობისა და საკუთარი პოზიციების დაცვის შესაძლებლობა, მიღებული გადაწყვეტილება ნაკლებად შეიძლება



იქნეს მიჩნეული ობიექტური მართლმსაჯულების პროდუქტად. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ასეთ დროს, მართლმსაჯულების ხარვეზთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ იმ პირის მიმართ, რომლისთვისაც ცნობილი არ იყო სასამართლოში დავის განხილვის თაობაზე, ვერ მიიღო მასში მონაწილეობა, მართლმსაჯულება, ფაქტობრივად, საერთოდ არ განხორციელებულა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ იმ პირის უფლებების დაცვის/აღდგენის სამართლებრივი ინტერესი, რომელმაც არ იცოდა მის მიმართ მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ, გადაწონიდა როგორც მეორე მხარის უფლებას, სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოოობაზე, ისე საჯარო ინტერესს განჭვრეტად და სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვასთან დაკავშირებით (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/2/1400 გადაწყვეტილება საქმეზე „ემზარ კვიციანი, ეთერ ჩხეტიანი-ანსიანი, მაია ანსიანი და იაგორ ანსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-42, 43).

47. მაშასადამე, იმგვარ შემთხვევებთან მიმართებით, როდესაც პირი, რომლის ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადით ბოჭვა იმ პირობებში, როდესაც მხარემ ან მისმა წარმომადგენელმა არ იცოდა სასამართლოში მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ, არაკონსტიტუციურ რეგულირებად მიიჩნია. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთ ვითარებაში, მართლმსაჯულება, ფაქტობრივად, საერთოდ არ განხორციელებულა, რის გამოც, საქმის წარმოების განახლების შესახებ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების გამორიცხვა, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

48. №1455 კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში მოსარჩელე მხარის მტკიცება, არსებითად, სწორედ პირის პროცესზე მოუწვევლობის საფუძველით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, მისი გადასინჯვის შესაძლებლობის არაკონსტიტუციურად ცნობას შეეხება. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე მხარის შემთხვევაშიც, მის სასარგებლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმის წარმოება საერთო სასამართლოში განახლდა სწორედ იმაზე აპელირებით, რომ პირი, რომლის ინტერესებსაც უშუალოდ ეხებოდა მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე და არ ჰქონდა ინფორმაცია მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების თაობაზე. ხსენებული, როგორც აღინიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/2/1400 გადაწყვეტილებაში განვითარებული სამართლებრივი შეფასების შესაბამისად, მოსარჩელე მხარის პოზიციის საპირისპიროდ, არა საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის გამოხატულებას, არამედ სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციური გარანტიის მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს. შესაბამისად, დასახელებულ ნაწილში, მოსარჩელე მხარის პოზიცია სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მტკიცების თვალსაზრისით, ვერ იქნება გაზიარებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

49. რაც შეეხება შემთხვევას, როდესაც პირი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე, თუმცა მან იცის საქმის წარმოების მიმდინარეობის შესახებ, საპროცესო კანონმდებლობა ამგვარ შემთხვევებში უშვებს არა საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობას, დროში განუსაზღვრელად, არამედ აღნიშნულს შემოფარგლავს კონკრეტული ვადებით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, დაინტერესებული პირის განცხადებით ბათილად ცნობა არ შეიძლება, თუ მხარეს შეეძლო ამ საფუძველების წამოყენება საქმის განხილვისას, შესაბამისად, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. ამავდროულად, ამავე კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადას და ადგენს, რომ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. მაშასადამე, იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა იცის საქმის წარმოების მიმდინარეობის შესახებ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წარდგენა არა უვადოდ, არამედ საქმის წარმოების განახლების საფუძველების არსებობის შეტყობიდან 1 თვის განმავლობაში შეუძლია. კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მხარეს არ აქვს წარმოდგენილი არგუმენტაცია, პირის მიერ საქმის წარმოების მიმდინარეობის შესახებ ცოდნის ელემენტის არსებობისას, კანონიერ ძალაში შესული



გადაწყვეტილების გაუქმებისა და წარმოების განახლების არსებული მოდელი, რათავალსაზრისით არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

50. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე მხარის არგუმენტაცია ასევე მიემართება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის გამოყენებას, მათ შორის, იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებით, რომელიც წარმოშობილი და დასრულებულია თავად სადავო ნორმის მიღებამდე პერიოდში. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ აღნიშნულის გამო, ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი, რომლითაც დაცულია კანონის უკუმაღლით გამოყენების აკრძალვის პრინციპი.

51. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. შესაბამისად, სადავო ნორმის რეგულირების სფერო შემოიფარგლება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ერთ-ერთი საფუძვლის დადგენით. იგი საერთოდ არ აწესრიგებს დადგენილი წესის დროში მოქმედების საკითხს. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელე მხარის არგუმენტაცია სადავო ნორმის კანონის უკუმაღლით გამოყენების აკრძალვის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით, ემყარება სადავო ნორმის შინაარსის არასწორ აღქმას და სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში ასევე დაუსაბუთებელია.

52. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ №1455 კონსტიტუციური სარჩელი სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან, მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან, 31-ე მუხლის პირველ და მე-9 პუნქტებთან და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31¹ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

III

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის მე-10 პუნქტის, 25-ე მუხლის მე-3, მე-4 და 4¹ პუნქტების, 27¹ მუხლის მე-2 პუნქტის, 31-ე მუხლის, 31¹ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 31² მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების, 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 31⁵ მუხლის პირველი, მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების, 31⁶ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 43-ე მუხლის საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს:

1. არ იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად №1455 კონსტიტუციური სარჩელი („გოგი გვიდიანი, ბადრი გვიდიანი, ბიძინა გვიდიანი და ჯამლათ გვიდიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული



შინაარსი, რომელიც უშვებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით გაუქმების შესაძლებლობას, ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 2025 წლის პირველი ივნისიდან.

3. განჩინება ძალაშია მისი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

4. განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

5. განჩინება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე, გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს უზენაეს სასამართლოს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის შემადგენლობა:

მანანა კობახიძე

ირინე იმერლიშვილი

თეიმურაზ ტულუში

